



საქართველოს 2025 წლის ოქტომბრის პერსპექტივა: მშპ-ის ძლიერ საშინაო ზრდას გარე გამოწვევები აბალანსებს


გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზების მიხედვით, აგვისტოს მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია 2025 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ეკონომიკის **5.8%-ით**, ხოლო მეოთხე კვარტალში **6.3%-ით** ზრდა. ჩვენი პროგნოზის თანახმად, 2025 წელს წლიური ზრდა **7.3%** იქნება.





მონეტარული ინდიკატორებიდან, 2025 წლის აგვისტოში უცხოური ვალუტის დეპოზიტები წლიურად 14.6%-ით გაიზარდა, რაც დოლარიზაციის ზრდაზე მიუთითებს. ამავდროულად, ეროვნული ვალუტის დეპოზიტები წლიურად 8.3%-ით გაიზარდა, ხოლო M2 აგრეგატი – 10.8%-ით, რაც უფრო აქტიურ მონეტარულ პირობებსა და მოთხოვნის მხარის უფრო ძლიერ დინამიკაზე მიუთითებს. საერთო ჯამში, მიუხედავად დეპოზიტების დოლარიზაციის ზრდისა (როგორც თვით, ასევე წლიურ ჭრილში), მონეტარულმა ინდიკატორებმა პოზიტიური წვლილი შეიტანეს პროგნოზში.



აგვისტოში ექსპორტი 5.9%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი – 3.4%-ით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 1.5%-ით შეამცირა. წმინდა ექსპორტის ეს გაუმჯობესება დადებითად აისახა მშპ-ის პროგნოზზე. უფრო ძლიერმა სავაჭრო ბალანსმა მოკლევადიან პერიოდში შესამჩნევი სტიმული მისცა ეკონომიკურ აქტივობას, თუმცა მისი გრძელვადიანი წვლილი მდგრად ზრდაში ზომიერი რჩება ექსპორტის შემადგენლობის გამო.

აგვისტოში აშშ დოლარი ლართან მიმართებაში 0.4%-ით გაუფასურდა, თურქული ლირა – 1.8%-ით; ევრო, პირიქით, 0.7%-ით გამყარდა, რუსული რუბლი – 0.9%-ით. გაცვლითი კურსის ამ ცვლილებების საერთო გავლენა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე პოზიტიური იყო. ამავდროულად, ოფიციალური სარეზერვო აქტივები თვიურ ჭრილში 3.7%-ით გაიზარდა, რაც გარე ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 4.6%-ს შეადგენდა, რაც აღემატებოდა ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა მაინც ასახავდა შედარებით სტაბილურ საფასო გარემოს. ამავე დროს, Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 15.5%-ით შემცირდა, რამაც შეამსუბუქა გლობალური საფასო წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.